საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 887 2024 წლის 17 ივნისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურისათვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „ფოთის ახალ საზღვაო ნავსადგურს“ (ს/ნ: 415095033) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით, 1 (ერთი) ლარად, აღნაგობის უფლებით გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში მდებარე 5 239 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №04.01.07.996).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) სარგებლობაში გადაცემის საფასურის – 1 (ერთი) ლარის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების ან მისი ნაწილის ან/და შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის" (ს/ნ: 415095033) საკუთრებაში არსებული №04.01.07.706, №04.01.07.707, №04.01.07.708, №04.01.07.710, №04.01.07.711 ან/და №04.01.07.723 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების ან მათი ნაწილის განვითარების (რაც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) ჰიდროტექნიკური ნაგებობ(ებ)ის ან/და ხაზობრივი ნაგებობ(ებ)ის მშენებლობას/რეკონსტრუქციას ან/და კონფიგურაციის ცვლილებას და, საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ექსპლუატაციაში მიღებას) მიზნით, არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარის) ინვესტიციის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) განხორციელება.

3. შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგური" (ს/ნ: 415095033) ვალდებულია, ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სარგებლობაში გადაცემის პირობის შესრულების (მათ შორის, ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე წარადგინოს ამავე ქვეპუნქტით განსაზღვრული ინვესტიციის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც ამავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით.

4. „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით

გათვალისწინებული აღნაგობის უფლების ვადა გაგრძელდეს, დამატებით, 50 (ორმოცდაათი) წლით, იმ პირობით, რომ შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგური“ უზრუნველყოფს ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის დროისათვის დადგენილი, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების აღნაგობის საბაზრო ღირებულების გადახდას ყოველწლიურად.

5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**